„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების

(№79, 09.09.2019წ.)

საყოველთაო-სახალხო განხილვის

## შემაჯამებელი ოქმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, 2019 წლის 9 სექტემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 107-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს 14 წევრის: დავით გაბაიძის, ნინო ჩხეტიას, მერაბ კარანაძის, ნუგზარ სურმანიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ვახტანგ წულაძის, ცოტნე ანანიძის, გიორგი მანველიძის, გიორგი რომანაძის, დავით თედორაძის, დავით ბაციკაძის, ირაკლი ჭეიშვილის, ილია ვერძაძისა და ხვიჩა შარაშიძის ინიციატივით, წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№79, 09.09.2019წ.). ხელმოწერების ნამდვილობის შესამოწმებლად, კონსტიტუციური კანონის პროექტები უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას 2019 წლის 10 სექტემბერს გაეგზავნა. ხელმოწერების ნამდვილობის დადგენის შემდეგ, კომისიამ 2019 წლის 12 სექტემბერს წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“ (№81,

12.09.2019წ.). უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 109-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, 2019 წლის 19 სექტემბრის მორიგ პლენარულ სხდომაზე, მიღებული იქნა აღნიშნული დადგენილება და შეიქმნა კონსტიტუციური კანონის პროექტების საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისია 11 წევრის შემადგენლობით:

ა) **დავით გაბაიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) **მერაბ კარანაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) **ნინო ჩხეტია** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) **ილია ვერძაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარების" თავმჯდომარე;

ე) **ნუგზარ სურმანიძე** - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ვ) **დავით ბაციკაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარას" თავმჯდომარე;

ზ) **პეტრე ზამბახიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

თ) **გიორგი ცინცქილაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ი) **მერაბ ბლადაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

კ) **გია აბულაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი;

ლ) **გიორგი ბერიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 19 სექტემბრის დადგენილება (№92-უ.ს.შ.ს.) _ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე" - გამოქვეყნდა სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებ-გვერდზე _ www.matsne.gov.ge (გამოქვეყნების თარიღი 19/09/2019, სარეგისტრაციო კოდი: 001010010.31.056.016061), ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.sca.ge და გაზეთ ,,აჭარას" 2019 წლის 26-27 სექტემბრის №109 გამოცემაში.

2019 წლის 20 სექტემბერს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის პირველი სხდომა, სადაც განისაზღვრა განხილვის გრაფიკი, რომლის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით, დაიგეგმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ყველა მუნიციპალიტეტში, ასევე, სტუდენტებთან, ლექტორ-მასწავლებელებთან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან შეხვედრები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის ფორმატით 7 შეხვედრა გაიმართა:

1. ხულოს მუნიციპალიტეტში - 2019 წლის 30 სექტემბერი;

2. შუახევის მუნიციპალიტეტში - 2019 წლის 30 სექტემბერი;

3. ქედის მუნიციპალიტეტში - 2019 წლის 3 ოქტომბერი;

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - 2019 წლის 3 ოქტომბერი;

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში - 2019 წლის 4 ოქტომბერი;

6. შეხვედრა აკადემიურ წრეებთან და სტუდენტებთან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - 2019 წლის 4 ოქტომბერი;

7. შეხვედრა პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში -2019 წლის 7 ოქტომბერი;

შეხვედრებზე კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ **დავით გაბაიძემ** განაცხადა, ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა დაიწყო, რაც საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას 2020 წლიდან გულისხმობს. განსახილველად ცვლილების ორი პროექტი იქნა გამოტანილი: ერთი მათგანი მმართველი პარტიის დეპუტატების მიერ არის ინიცირებული, ხოლო მეორე - საინიციატივო ჯგუფის მიერ, რომელმაც საქართველოს 200 ათასი მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა. კანონპროექტები მსგავსია იმით, რომ ორივე შემთხვევაში გათვალისწინებულია შერეული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით, მის, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, შემოვიდა რეგიონში მოქმედი 8 პოლიტიკური პარტიის მიერ მომზადებული ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტის მსგავსად, 2020 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც პროპორციული საარჩევნო სისტემით, ე.წ. ბუნებრივი ბარიერის პირობებში ჩატარდეს. შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიებთან კონსენსუსის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის, კერძოდ, უმაღლესი საბჭოს 14 წევრის („ქართული ოცნების“ წევრების) ინიციატივით, უმაღლეს საბჭოში დარეგისტრირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს დადგენილებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვების საორგანიზაციო კომისია და განისაზღვრა ამ პროექტების ექვსივე

მუნიციპალიტეტში საჯარო განხილვის გრაფიკი. მომხსენებლის თქმით, საყოველთაო-სახალხო განხილვების საორგანიზაციო კომისიის 11-წევრიან შემადგენლობაში უმაღლესი საბჭოს ყველა პოლიტიკური ძალაა წარმოდგენილი. ამასთან, კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, კომისიის სხდომებზე დასასწრებად, მოიწვიოს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც კომისიის მუშაობაში ჩართვის სურვილს გამოთქვამს.

**დავით გაბაიძემ,** დამსწრე საზოგადოებას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები წარმოუდგინა. მისი განმარტებით, აღნიშნული პროექტები საარჩევნო სისტემის, საარჩევნო ბარიერთან და ბლოკების ერთჯერადად შექმნასთან დაკავშირებული ჩანაწერების ცვლილებას ითვალისწინებს. კერძოდ, აჭარის კონსტიტუციაში იცვლება ის მუხლი, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საბჭოს არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით - პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ტარდებოდა. ახალი ინიციატივა კი, შერეული საარჩევნო სისტემის გაუქმებასა და პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებას გულისხმობს. ასევე, პროექტის თანახმად, ხდება იმ ნორმების ამოღება, რომლებიც არჩევნებისათვის 5 პროცენტიან საარჩევნო ბარიერს და ერთჯერადად, საარჩევნო ბლოკების დაშვებას ითვალისწინებს.

მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა საარჩევნო სისტემების დადებით და უარყოფით მხარეებზე. მან აღნიშნა, რომ მსოფლიოში რამდენიმე სახის საარჩევნო სისტემას იყენებენ. მათ შორის, ყველაზე გავრცელებულია მაჟორიტარული, პროპორციული და შერეული სისტემები. 2005 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 199 ქვეყნიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91 ქვეყანაში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად მაჟორიტარული ტიპის სისტემა გამოიყენება, 72 ქვეყანაში – პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა, 30–ში კი - შერეული სისტემა, დარჩენილი 6 ქვეყნის სააარჩევნო პროცედურა არცერთ ამ სისტემაში არ ჯდება. იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია საუკეთესო საარჩევნო სისტემა, ამაზე ერთიანი შეთანხმება არ არსებობს. თითოეული საარჩევნო სისტემის ტიპს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს. ვერცერთი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის ყველა პრობლემის სრულად და თანაბრად გადაჭრას.

მან შეხვედრებზე ხაზი გაუსვა პროპორციული საარჩევნო სისტემის რიგ უპირატესობებს და აღნიშნა, რომ სისტემას მინიმუმამდე დაჰყავს, ე.წ. „დაკარგული ხმების" რაოდენობა და უზრუნველყოფს მწირი ფინანსური რესურსების მქონე და შედარებით მცირე პოლიტიკური პარტიების შესვლას პარლამენტში. შესაბამისად, მანდატების გადანაწილება უფრო სამართლიანია, ამასთან, განსხვავებული პოლიტიკური აზრისა და განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლობაა გარანტირებული. თუმცა, ჯერჯერობით არ არის შემოთავაზებული ზუსტი ფორმულირება, თუ როგორ გაიწერება პროპორციული სისტემის საკითხი საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსში, რაც დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკაზე, მის ტერიტორიულ მოწყობაზე, პოლიტიკურ გარემოზე და ა.შ. ასევე, არაერთხელ აღინიშნა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური კონსენსუსი წარმოადგენს ისტორიულ ნაბიჯს, რომელსაც განვითარების ახალ ეტაპზე გადაჰყავს ქართული დემოკრატია და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კულტურა. თუმცა, ერთგვარი შიში არსებობს იმისა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ფონზე, რეგიონალური წარმომადგენლობის როლი საკანონმდებლო ორგანოში შესუსტდება.

**დავით გაბაიძის** მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ძირითად უარყოფით მხარედ ითვლება ამომრჩეველთა ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობის ,,დაკარგვა", მისი დადებითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ იგი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ყველა რეგიონის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში, ასევე უშუალო კავშირია დეპუტატსა და ამომრჩევლებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ეყოლება თუ არა რომელიმე საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენელი რეგიონებს, დამოკიდებული იქნება პარტიების კეთილ ნებაზე, ანუ პოლიტიკურმა პარტიებმა პარტიული სიების შედგენის დროს უნდა გაითვალისწინონ რეგიონების წარმომადგენლობა. თუმცა, ალბათობა იმისა, რომ საშუალო და პატარა პარტიების გამსვლელ სიაში იყოს ამა თუ იმ რეგიონის ან/და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ძალიან დაბალია. პოლიტიკური პარტიები კანდიდატთა საერთო სიის შედგენისას იმოქმედებენ პრაგმატულად, ანუ სურვილის მიუხედავად კანდიდატთა შერჩევა სავარაუდოდ მოხდება, არა რეგიონის წარმომადგენლების გათვალისწინებით, არამედ იმის მიხედვით თუ სადაა ამომრჩეველთა დიდი ნაწილი კონცენტრირებული და სად შეიძლება მეტი ხმის მოპოვება, ხოლო ამომრჩეველთა კონცენტრაცია კი არის დედაქალაქში, ხოლო აჭარის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ცენტრში - ბათუმში. მომხსენებელმა აქვე დასძინა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კონსენსუსის გათვალისწინებით ის ამ კონსტიტუციური ცლილებების ერთ-ერთი ინიციატორია, მას კატეგორიული პრეტენზია შერეული საარჩევნო სისტემის მიმართ არ ჰქონია. მისი განცხადებით, საქართველოს პარლამენტისაგან განსხვავებით, უმაღლეს საბჭოში მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების რაოდენობა არათანაბარია და მაჟორიტარების ხვედრითი წილი უმაღლესი საბჭოს სრულ შემადგენლობაში მესამედიც კი არ არის. შესაბამისად მაჟორიტარების რაოდენობას უმაღლესი საბჭოს შიგნით პოლიტიკურ ძალთა ბალანსში განსაკუთრებული ცვლილებები ვერ შეაქვთ. მისი განმარტებით 2016 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით რომც ჩატარებულიყო, იგივე პოლიტიკური ძალები იქნებოდა უმაღლეს საბჭოში, როგორც დღეს, შერეული საარჩევნო სისტემით არის წარმოდგენილი და პირველი, მეორე და ა.შ. ადგილებიც იგივე თანმიმდევრობით გადანაწილდებოდა, როგორც ეს გადანაწილდა შერეული სისტემით არჩევნების ჩატარების შემთხვევაში. ამასთან, მისი განმარტებით მისი სუბიექტური აზრია, რომ მოქმედი შერეული სისტემა უკეთ ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპეციფიკას, ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა უმაღლეს საბჭოში, ამასთან დამკვიდრებული პრაქტიკა მოწმობს, რომ ამომრჩეველს განსაკუთრებით აქტიური და უშუალო კონტაქტი აქვს სწორედ მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებთან. მომხსენებლის განმარტებით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარჩევნო სისტემის ცვლილების საფუძველს ამ ეტაპისათვის ვერ ხედავს და ამ ცვლილების მხარდაჭერა მისი მხრიდან მხოლოდ პოლიტიკური კონსენსუსით შეიძლება იყოს განპირობებული.

საარჩევნო ბარიერის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 5%-იანი ბარიერი უქმდება, თუმცა ბუნებრივი ბარიერი, რომელიც დაახლოებით, საქართველოს პარლამენტისათვის 0,67%, ხოლო უმაღლესი საბჭოსთვის 4.76%-ია, მაინც იარსებებს. მართალია, უმაღლესი საბჭოსათვის ბუნებრივი ბარიერი ხელოვნურისგან უმნიშვნელოდ, 0.24%-ით განსხვავდება, პოლიტიკური პარტიების მოთხოვნიდან გამომდინარე, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ე.წ. ,,ბუნებრივი ბარიერით",

წარმოდგენილ ინიციატივაში გათვალისწინებულია. გამომსვლელმა აქვე დასძინა, რომ ერთადერთი გამოსავალი, რაც უმაღლესი საბჭოსათვის ბუნებრივი საარჩევნო ბარიერის დაწევას უზრუნველყოფს, არის დეპუტატთა მანდატების რაოდენობის გაზრდა, თუმცა, **დავით გაბაიძემ** განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინიციატივის დაყენება უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის მხრიდან არ იგეგმება, რადგან საზოგადოების დარწმუნება ამ ნაბიჯის სისწორეში საკმაოდ რთული იქნება. აქვე, მომხსენებელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ რადგანაც იცნობს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით სამომავლოდ, თუნდაც 2024 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიერ შესაძლებელია დადგეს კიდეც.

გამოსვლის დასასრულს, **დავით გაბაიძემ** ისაუბრა საარჩევნო ბლოკების გაუქმების პრინციპულ მნიშვნელობასა და ბლოკების არსებობის პირობებში ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივი ხარჯვის პრობლემაზე. მისი თქმით, ეს არის ერთადერთი საკამათო საკითხი უმაღლესი საბჭოს უმრავლესობასა და ოპოზიციონერ დეპუტატებს შორის. მომხსენებელმა ბლოკების ინსტიტუტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართულ რეალობაში დამკვიდრებულია არასახარბიელო პრაქტიკა, რომელიც ქვეყანაში პარტიული სისტემის განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის. ძირითადად, პოლიტიკური ბლოკების ერთ-ერთი არსი იმაში მდგომარეობს იმაში, რომ არჩევნებში ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ბლოკებში გაერთიანებულმა პატარა პარტიებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღონ. ბლოკების შეზღუდვა კი პოლიტიკურ ჯგუფებს გამსხვილებისაკენ და ძლიერ პარტიებად ჩამოყალიბებისაკენ უბიძგებს და თითოეული პოლიტიკური პარტიის რეალურ მხარდაჭერას აჩვენებს. **დავით გაბაიძემ** აქვე დასძინა, რომ თუკი ბლოკებში გაერთიანებულ პარტიებს გააჩნიათ მსგავსი პოლიტიკური პლატფორმები, მაშინ მათ ერთად ყოფნას არავინ არ უშლის და შეუძლიათ არჩევნებზე ერთიანი საარჩევნო სიით წარსდგენ და არა ბლოკებით.

საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა **გია აბულაძემ** და აღნიშნა, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა მოსახლეობის დაკვეთაა, შესაბამისად, პოზიცია და ოპოზიცია იმ კონსენსუსამდე უნდა მივიდეს და მიიღოს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომ ქვეყანა იმართებოდეს არა ერთპიროვნულად, არამედ სისტემურად და ინსტიტუციების მეშვეობით. მისი თქმით, ნებისმიერი პოლიტიკური პარტია იმ ოდენობის პროცენტული ნდობის საფუძველზე უნდა შევიდეს საკანონმდებლო ორგანოში, რამდენსაც ხალხი გამოუცხადებს. შესაბამისად, გაუქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, რამაც წლების განმავლობაში მანკიერი სახე მიიღო. მომხსენებელმა მაგალითისათვის 2016 წლის არჩევნები მოიყვანა და აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლის 50%-ზე ნაკლები ნდობა მოიპოვა, თუმცა, მაჟორიტარული სისტემის დახმარებით მიიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა, რამაც მმართველ პარტიას ბევრი გამოუსწორებელი შეცდომა დააშვებინა. გია აბულაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ეთახმება საარჩევნო ბლოკების გაუქმების ინიციატივას. ამასთანავე, განაცხადა, რომ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს დაუჭერს წარმოდგენილ კონსტიტუციური კანონის პროექტებს უმაღლეს საბჭოში, თუნდაც ის არ ითვალისწინებდეს საარჩევნო ბლოკების საკითხს, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის მონაპოვარი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა მიყვანილი იქნას ბოლომდე. ასევე მნიშვნელოვანია ბარიერის საკითხი დაფიქსირებული იქნას კონსტიტუციაში.

**მერაბ კარანაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკურ პარტიებთან კონსენსუსის საფუძველზე, მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ წარმოდგენილი იქნა კონსტიტუციური ცვლილების პროექტი, რომლის საყოველთაო-სახალხო განხილვა აქტიურად მიმდინარეობს. მისი განცხადებით, წინა ხელისუფლებებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების" გუნდმა აქამდე უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, კერძოდ, 2024 წლისათვის გათვალისწინებული პროცესი, რომელიც შერეული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა, დააჩქარა და თავისი მმართველობის პერიოდშივე დაიწყო მისი განხორციელება. მან იმედი გამოთქვა, რომ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობა - 21-ვე დეპუტატი კონსტიტუციურ ცვლილებებს ერთხმად დაუჭერს მხარს. მანვე ისაუბრა პროპორციული სისტემის დადებით და უარყოფით მხარეებზე და აღნიშნა, რომ იმის საშიშროება, რომ საქართველოს პარლამენტი და უმაღლესი საბჭო იქცეს ბათუმისა და თბილისის საკანონმდებლო ორგანოებად, ნამდვილად არის, თუმცა პოლიტიკური პარტიების პასუხისმგებლობის საკითხია კანდიდატთა ერთიანი სიების სამართლიანად შედგენა, რათა არ შესუსტდეს რეგიონალური წარმომადგენლების როლი საკანონმდებლო ორგანოში. მანვე მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საყოველთაო-სახალხო განხილვებში აქტიური მონაწილეობისათვის.

**გიორგი ცინცქილაძემ,** კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით, დამსწრე საზოგადოებას, პირადად მისი და პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის" შეხედულება გააცნო. მისი განცხადებით, ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში მოქმედ შერეულ საარჩევნო სისტემაში კრიტიკის საგანს და შესაბამისად, ცვლილების სამიზნეს მაჟორიტარული წესით დეპუტატების არჩევა წარმოადგენს. საქართველოს პარლამენტარიზმის გამოცდილება ადასტურებს, რომ შერეულმა საარჩევნო სისტემამ მანკიერი სახე მიიღო, რადგან იგი გახდა ოპონენტებს შორის ვაჭრობის, მოსყიდვისა და დაპირისპირების საგანი. სწორედ, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების, ოპოზიციური პარტიების მოთხოვნითა და ხელისუფლებასთან მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე, 2020 წლისათვის ქვეყნის მასშტაბით არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით გაიმართება, რაც ქვეყნის დემოკრატიისათვის წინგადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება ერთჯერადად ბლოკების შექმნის საკითხს, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პარტია „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობისთვის" პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან არც საარჩევნო ბარიერის გადალახვის შიში აქვთ და არც ბლოკში ვინმესთან ერთად შესვლას საჭიროებენ. საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განაცხადა, რომ 5%-იანი ბარიერის გაუქმების მიუხედავად, ე.წ. „ბუნებრივი ბარიერის" პირობებში, უმაღლესი საბჭოსათვის 4.76% მაინც იარსებებს. თუმცა, მან აქვე გამოთქვა მოსაზრება, რომ სამომავლოდ, ბიუჯეტის გაზრდის გარეშე, საარჩევნო ბარიერის დაწევის მიზნით, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მანდატების საჭირო რაოდენობამდე გაზრდაა სასურველი. გამოსვლის ბოლოს, გიორგი ცინცქილაძემ დააფიქსირა პირადი და თავისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია, რომ მხარს უჭერენ საქართველოში პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვას, რადგან ეს არჩევნები აჩვენებს ზუსტად იმ შედეგს, რა განწყობაც არის რეალურად საზოგადოებაში.

**ილია ვერძაძემ** განაცხადა, რომ უმაღლეს საბჭოში მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების თანაფარდობა, დაახლოებით 1/3-ის ტოლია, რაც იმას

ადასტურებს, რომ განსაკუთრებული ცვლილება მიღებული მანდატების მხრივ მაჟორიტარების ხარჯზე ვერ მოხდება, შესაბამისად, პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარების მიუხედავად, უმაღლეს საბჭოში იგივე პოლიტიკური ძალა შევიდოდა, რაც დღესდღეობით არის წარმოდგენილი. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი აჭარის რეგიონში შერეული საარჩევნო სისტემის დატოვების მომხრეა, მმართველ გუნდსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე, მზადაა მხარი დაუჭიროს კონსტიტუციურ ცვლილებებს უმაღლეს საბჭოში. მომხსენებელმა, ასევე, ისაუბრა პოლიტიკური ბლოკების შექმნის მიზანშეუწონილობის საკითხზე და განაცხადა, რომ მათი შექმნის არსი დღევანდელი რეალობის მიხედვით მდგომარეობს, მხოლოდ და მხოლოდ, საარჩევნო ბარიერის დაძლევის მცდელობაში და არა პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებაში. გამოსვლის დასასრულს, **ილია ვერძაძემ** აღნიშნა, რომ ნაბიჯი, რომელიც დემოკრატიის სასარგებლოდ ხელისუფლებამ გადადგა, არის უპრეცედენტო და ქვეყნისათვის სასარგებლო.

**მერაბ ბლადაძემ** დადებითი დამოკიდებულება დააფიქსირა მაჟორიტარული სისტემით დეპუტატების არჩევის წესის გაუქმების მიმართ. ასევე, საკუთარი აზრი გამოხატა საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბუნებრივი ბარიერი, საქართველოს პარლამენტისათვის - 0,67%, ხოლო უმაღლესი საბჭოსათვის - 4,76% შეადგენს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ბუნებრივი ბარიერი ხელოვნურისგან, უმნიშვნელოდ, 0.24%-ით განსხვავდება, რაც განსხვავებით საქართველოს პარლამენტისგან, სადაც ძალიან ბევრ პარტიას ექნება შესაძლებლობა შევიდეს საკანონმდებლო ორგანოში, უმაღლეს საბჭოში არსებულ ძალთა თანაფარდობას უცვლელს დატოვებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებელმა გამოთქვა მოსაზრება, მრავალპარტიული უმაღლესი საბჭოს მისაღებად, საარჩევნო ბარიერის 3%-მდე დაწევის მიზნით, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მანდატების საჭირო რაოდენობამდე გაზრდის მიზანშეწონილობაზე.

**ნუგზარ სურმანიძემ** აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი, ეს სისტემა უარყოფითად მიაჩნია. მისი თქმით, სადეპუტატო უფლებამოსილების მიუხედავად, უჭირს რიგ საკითხებზე ინდივიდუალურად გადაწყვეტილების მიღება, რადგან დამოკიდებულია პოლიტიკური გუნდის ნებასა და პასუხისმგებლობაზე. შესაბამისად, იგი მხარს უჭერს შერეული სისტემის გაუქმებას. მანვე დადებითი პოზიცია დააფიქსირა პროპორციულ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ სისტემაზე გადასვლა ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების აქტივობასა და ამომრჩეველთა პოლიტიკური კულტურის განვითარებას, რაც ქვეყნის დემოკრატიაზე დადებით გავლენას იქონიებს.

**ხულოს მუნიციპალიტეტი,**

**ხულოს საჯარო ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზი,**

30 სექტემბერი, 2019 წელი

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე,

ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც დეტალურად ისაუბრა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ამის შემდეგ, კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით, თავიანთი მოსაზრებები კომისიის წევრებმა გამოთქვეს. გამოსვლების შემდეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა:

ხულოს საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის თავმჯდომარემ **ირაკლი ჯორბენაძემ** მადლობა გადაუხადა უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს, ოპოზიციასთან მიღწეული კონსენსუსისათვის და საჯარო განხილვისათვის. მანვე დადებითად შეაფასა პროპორციული საარჩევნო სისტემის 2020 წლიდან ამოქმედების ინიცირება. გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა მაჟორიტარული სისტემის უარყოფით მხარეებზე და დაინტერესდა, უმაღლესი საბჭოს სხვა მაჟორიტარი დეპუტატები მხარს უჭერენ თუ არა ამ ინიციატივას. ირაკლი ჯორბენაძემ, ასევე ისაუბრა საარჩევნო ბლოკების შენარჩუნების საკითხზე და განაცხადა, რომ მისი არსებობა უზრუნველყოფს პატარა პარტიების საკანონმდებლო ორგანოში შესვლის შესაძლებლობას.

**არჩილ აბაშიძემ** დააფიქსირა პირადი პოციზიცია, რომ მოსწონს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და მხარს უჭერს მმართველი გუნდის ინიციატივას საარჩევნო ბლოკების გაუქმებასთან დაკავშირებით.

**გია ადაძემ** პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული პროცესები დადებითად შეაფასა. მანვე დასვა კითხვა, აღნიშნული ცვლილებები, 20-21 ივნისის ცნობილმა მოვლენებმა განაპირობა თუ ეს ხელისუფლების კეთილი ნება იყო, რადგან საქართველოს კონსტიტუციით საარჩევნო სისტემის ცვლილებების თავდაპირველ თარიღად 2024 წელი განისაზღვრა.

**რომან ქედელიძემ** კმაყოფილება გამოხატა კონსტიტუციური ცვლილებების საყოველთაო - სახალხო განხილვასთან დაკავშირებით. გამომსვლელი პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მიესალმა და პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღწეულ კონსენსუსს მმართველი გუნდის წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა. მანვე ბლოკების დაშვების აუცილებლობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს პარტიებს ნულიდან განვითარების შესაძლებლობას აძლევს, რაც მრავალფეროვანი პარლამენტის შექმნის საუკეთესო ფორმაა. ასევე, რომან ქედელიძემ აქცენტი გააკეთა მცირე ოპოზიციური პარტიებისათვის მანდატების მისაღებად საჭირო მხარდაჭერის მოპოვების გაზრდილ შესაძლებლობაზე ნულოვანი ბარიერის მოქმედების პირობებში.

**რამაზ სურმანიძემ** გამოხატა მხარდაჭერა მაჟორიტარული სისტემისადმი და დასვა კითხვა, რჩება თუ არა მაჟორიტარული სისტემა ადგილობრივ თვითმმართველობებში და რა შეხედულება აქვთ ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ხულოს საკრებულოს თავმჯდომარემ **ჯუმბერ დიმიტრაძემ** მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებს, კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის ხულოდან დაწყების გამო და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურად ჩართვისათვის. მისი აზრით, მიუხედავად უარყოფითი ნიუანსებისა, საკითხი დადებითია, რადგან პროპორციული სისტემა, ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანოში, ამომრჩევლის ნების ბალანსს სრულად წარმოადგენს. მანვე ისაუბრა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებით გამოწვეულ საფრთხეებზე, რაც მისი აზრით, საკანონმდებლო ორგანოში რეგიონალური

წარმომადგენლების როლის შესუსტებას გამოიწვევს. გამომსვლელმა აქვე განაცხადა, რომ ის უერთდება პოლიტიკური გუნდის გადაწყვეტილებას, რადგან თვლის, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვა დემოკრატიისაკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**შუახევის მუნიციპალიტეტი,**

**შუახევის საკრებულოს სხდომათა დარბაზი,**

**30 სექტემბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ნინო ჩხეტია, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც დეტალურად ისაუბრა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ამის შემდეგ, კომისიის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი პოზიციები დაეფიქსირებინათ აღნიშნულ საკითხებზე. ბოლოს, კითხვები დასვეს და მოსაზრებები გამოთქვეს მოქალაქეებმა:

საკრებულოს წევრმა **სულხან ზოიძემ** დადებითად შეაფასა საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ინიციატივა და კითხვა დასვა გაუნაწილებელი მანდატების განაწილების წესთან დაკავშირებით.

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საკრებულოს წევრმა **ნუგზარ ამაღლობელმა** განცხადება გააკეთა ბლოკების შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც მისი აზრით, საგრძნობლად გაზრდის ამომრჩევლის არჩევნებში მისვლის მოტივაციას და მინიმუმამდე დაიყვანს ხმების დაკარგვის შანსს.

**ჯუმბერ ფუტკარაძემ** აღნიშნა, რომ მიესალმება პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ინიციატივას და ე.წ. ბუნებრივი ბარიერის პირობებში, ბლოკების არსებობის აუცილებლობას ვერ ხედავს.

**ქედის მუნიციპალიტეტი,**

**ქედის საკრებულოს სხდომათა დარბაზი,**

**3 ოქტომბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე.

შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც დეტალურად ისაუბრა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. ამის შემდეგ, კომისიის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი პოზიციები დაეფიქსირებინათ კონსტიტუციურ ცვლილებებზე. გამოსვლების ბოლოს, კითხვები დასვეს და მოსაზრებები გამოთქვეს მოქალაქეებმა:

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და საკრებულოს წევრმა **ვაჟა ბოლქვაძემ** საორგანიზაციო კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვისათვის. მანვე დადებითად შეაფასა საზოგადოებრივი მოთხოვნის საფუძველზე, პოლიტიკური სპექტრის გაერთიანების ფაქტი იმ იდეის გარშემო, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა უნდა მოხდეს 2020 წლიდან. გამომსვლელმა საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

**ამირან დევაძემ** დასვა კითხვა, შეიცვლება თუ არა თვითმმართველობებში საარჩევნო სისტემა.

**დათო კონცელიძე** დაინტერესდა, უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა, მათ შორის მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები, თანახმა არიან თუ არა მიიღონ კონსტიტუციური ცვლილებები და საყოველთაო-სახალხო განხილვა ხომ არ დარჩება მხოლოდ განხილვის დონეზე.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი,**

**ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი**

**3 ოქტომბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა დავით გაბაიძის გამოსვლით დაიწყო, რომელმაც დეტალურად ისაუბრა კონსტიტუციურ ცვლილებებზე. თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს კომისიის წევრებმაც. გამოსვლების ბოლოს, კითხვები დასვეს და მოსაზრებები გამოთქვეს მოქალაქეებმა:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა **ჯუმბერ ვარდმანიძემ** ხაზი გაუსვა პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებით მხარეებს და აღნიშნა, რომ სისტემას მინიმუმამდე დაჰყავს ე.წ. „დაკარგული ხმების" რაოდენობა, ამასთან უზრუნველყოფს პოლიტიკური კულტურის ზრდას საქართველოში. ჯუმბერ ვარდმანიძემ ისაუბრა მაჟორიტარის ბიუროს დადებით ფუნქციებზეც და დასვა კითხვა, არჩევნების შემდეგ შეიქმნება თუ არა ალტერნატიული პოლიტიკური ბიურო.

**როსტომ თავდგირიძემ** უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით, რაც თითქოს, მცირე პარტიების განვითარებას შეუწყობს ხელს. მისი თქმით, აშშ-ს მსგავსად, საქართველოშიც ორი წამყვანი პარტია სავსებით საკმარისი იქნება.

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საკრებულოს წევრის **თემურ დუმბაძის** განცხადებით, მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტისაგან განსხვავებით, უმაღლესი საბჭოსათვის ბუნებრივი ბარიერის ნაცვლად, შედარებით ნაკლებპროცენტიანი ხელოვნური ბარიერი განისაზღვროს, რაც მისი აზრით, შეამცირებს საარჩევნო ხმების დაკაგვის შანსს. მანვე ყურადღება გაამახვილა საარჩევნო ბლოკების საკითხზე და განაცახდა, რომ ბლოკების არსებობა ხელს შეუწყობს, როგორც პატარა პარტიების, ასევე პოლიტიკური კულტურის განვითარებას საქართველოში.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ბოლქვაძემ** დადებითად შეაფასა წარმოდგენილი კონსტიტუციური ცვლილებები, კერძოდ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ინიციატივა.

**ანზორ ბერსენაძემ** დასვა კითხვა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების შემდეგ, ამომრჩევლებთან მუდმივი კონტაქტის შესანარჩუნებლად, იქნება თუ არა მაჟორიტარის ბიუროს მსგავსი პოლიტიკური ორგანო.

**თემურ თეთრაძემ** მადლობა გადაუხადა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარებს, არაერთხელ გაწეული დახმარების გამო. მანვე თავისი პოზიცია დააფიქსირა საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ ხერხით მცირეწევრიანი პარტიები არ უნდა ფინანსდებოდეს და მომავალ არჩევნებამდე უზრუნველად ყოფნის საშუალება არ უნდა ეძლეოდეთ, შესაბამისად ბლოკები არ უნდა შეიქმნას.

**ნადიმ ვარშანიძე** დაინტერესდა, არჩევნების შემდეგ იქნება თუ არა მაჟორიტარის ბიუროების მსგავსი ორგანო, რომლის საშუალებითაც დეპუტატს ხალხთან მუდმივი კონტაქტი ექნება. გარდა ამისა, მისი აზრით, სასურველი იქნება პარტიული სიები დაკომპლექტდეს ცნობადი და ხალხისათვის ავტორიტეტული პირებით, მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის შესანარჩუნებლად.

**ბათუმი,**

**ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**4 ოქტომბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ნინო ჩხეტია, ილია ვერძაძე, დავით ბაციკაძე, გია აბულაძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე. კონსტიტუციური ცვლილებების გაცნობისა და მის შესახებ კომისიის წევრების პოზიციების წარმოდგენის შედეგ, სხდომა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა.

**გენრი დოლიძემ (სამოქალაქო მოძრაობა)** მადლობა გადაუხადა საორგანიზაციო კომისიის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო ფორმატში განხილვისა და შინაარსიანი პრეზენტაციისათვის. მანვე დადებითად შეაფასა პროპორციულ საარჩევნო

სისტემაზე გადასვლის ინიციატივა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტისაგან განსხვავებით, უმაღლესი საბჭოსათვის ნულოვანი საარჩევნო ბარიერის - 4,76%-ის დაშვებამ, შესაძლოა საარჩევნო ხმების დაკარგვა გამოიწვიოს. გამომდინარე აქედან, გამომსვლელს სამართლიანად მიაჩნია საარჩევნო ბლოკების შექმნის შესაძლებლობა, რაც პატარა პარტიებს განვითარებისა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის საშუალებას მისცემს. ასევე, გენრი დოლიძემ დასვა კითხვა, თუ როგორ მოხდება ხმების გადანაწილება გაუნაწილებელი მანდატების შემთხვევაში. მან აქვე დასძინა, მათ აქვთ ინიციატივა, რომ გაუნაწილებელი მანდატი გადაეცეს იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ყველაზე ცოტა ხმა დააკლდა მომდევნო მანდატის მისაღებად. გამომსვლელმა ბოლოს გამოთქვა იმედი, რომ საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებით კონსენსუსი მიიღწევა და პატარა პარტიებს განვითარების შანსი მიეცემათ.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა **გიგა ფარტენაძემ** დასვა კითხვა, 2024 წლისათვის, ხომ არ იგეგმება საკონსტიტუციო ცვლილებები საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით. მანვე მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ კარგი იქნება 2020 წლის არჩევნებში პარტიული სიების პირველ ექვსეულებში წარმოდგენილი იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, თვითმმართველობების წარმომადგენლები.

**თამაზ მჟავანაძემ** აღნიშნა, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიისაკენ კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია. მან ყურადღება გაამახვილა, დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც ითვალისწინებენ გაზრდილ გარანტიებს ქალთა პოლიტიკური აქტივობისათვის და გულისხმობენ პარტიების ფინანსურ წახალისებას გენდერული კვოტების განსაზღვრისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამომსვლელმა დასვა კითხვა, 2020 წლის არჩევნებისას სიების ფორმირების დროს, როგორ მოხდება შშმ პირებისა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება. მანვე ისაუბრა უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მანდატების გაზრდის საკითხთან დაკავშირებით და დაინტერესდა, იძლევა თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტი ამის საშუალებას და რამდენად იქნება ეს პოპულარული მოსახლეობაში.

„ქართული ოცნების" წევრი **არმაზ მიქელაძე** დაინტერესდა, პროპორციული სისტემის დანერგვის შემთხვევაში, ხელისუფლება რომელი ქვეყნის მოდელის გადმოღებას აპირებს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ომარ ფარტენაძემ** აღნიშნა, რომ იზიარებს კონსტიტუციური კანონის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს, თუმცა აქვე დასვა კითხვა, პროექტის მომზადებისა და განხილვის პროცესში, ხომ არ ყოფილა მსჯელობა უმაღლესი საბჭოს მთლიანად მაჟორიტარული სისტემით დაკომპლექტების თაობაზე.

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი,**

**ქობულეთის საკრებულოს სხდომათა დარბაზი,**

**4 ოქტომბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე

დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, პეტრე ზამბახიძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე. შეხვედრა კომისიის წევრების გამოსვლებით დაიწყო, რომლებმაც კონსტიტუციური ცვლილებები და ამ ცვლილებების შესახებ საკუთარი პოზიციები გააცნეს საზოგადოებას. აღნიშნულის შემდეგ, მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა დაესვათ კითხვები კომისიის წევრებისათვის და გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ.

საკრებულოს წევრის **ვაჟა შავიშვილის** თქმით, დავით გაბაიძის გამოსვლაში უფრო სწორი აქცენტები გამოიკვეთა კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით, ვიდრე ეს კანონპროექტის განმარტებითი ბარათითაა წარმოდგენილი. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს პროპორციულ სისტემაზე გადასვლის ინიციატივას, თუმცა აქვე დასვა კითხვა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმების შემთხვევაში, როგორ მოხდება რეგიონალური წარმომადგენლობის სათანადო უზრუნველყოფა საკანონმდებლო ორგანოში. მანვე საარჩევნო ბლოკების დაშვების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ე.წ. ბუნებრივი ბარიერის პირობებში აღარ არის საარჩევნო ბლოკების დაშვების აუცილებლობა, რაც მისი აზრით პარტიული სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს. მანვე მიზანშეუწონლად მიიჩნია უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული წინადადება და აღნიშნა რომ უმაღლეს საბჭოში 21 წევრი სრულიად საკმარისია, თუ ისინი იქნებიან კომპეტენტური, პროფესიონალი და მოტივირებული.

**ირაკლი ჯანყარაშვილმა** საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმაღლესი საბჭოსათვის ბუნებრივი ბარიერი ხელოვნურისგან უმნიშვნელოდ, 0.24%-ით განსხვავდება, ამიტომ, სასურველია, ბუნებრივი საარჩევნო ბარიერის კიდევ უფრო დაწევა, რათა რაც შეიძლება მეტი პარტია იქნეს წარმოდგენილი უმაღლეს საბჭოში, ვიდრე ახლა არის.

საქართველოს პარლამენტის წევრმა **კობა ნაკაიძემ** მადლობა გადაუხადა საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებს, კონსტიტუციური კანონის პროექტების საჯარო განხილვისათვის. მან აქვე აღნიშნა, რომ 2016-2020 წლების მოწვევის უმაღლესი საბჭო ყველა დროზე მეტად ქმედითია, რაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის დამსახურებაა, რადგანაც მისი ინიციატივით მოქმედ კანონმდებლობაში ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა. მომხსენებელმა საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ უმაღლესი საბჭოსათვის საარჩევნო ბარიერის თუნდაც 3%-მდე დაწევას დეპუტატთა მანდატების საჭირო რაოდენობამდე გაზრდა უზრუნველყოფს. შესაბამისად, მან დასვა კითხვა, დეპუტატთა მანდატების 33-მდე გაზრდის შემთხვევაში, რამდენით გაიზრდება უმაღლესი საბჭოს ასიგნებები და რამდენად მისაღებია ეს საზოგადოებისათვის.

საკრებულოს წევრმა **მერაბ ცინცაბაძემ** წარმოდგენილი კონსტიტუციური ცვლილებები შეაფასა და განაცხადა, რომ მომდევნო არჩევნების პროპორციული სისტემით, ბარიერისა და ბლოკების გარეშე ჩატარება, მოქმედი ხელისუფლების ხელთ არსებული მანიპულირების იარაღია. მანვე დასვა კითხვა, რა მიზეზით ეწინააღმდეგება ხელისუფლება ბლოკების დაშვების წინადადებას.

საკრებულოს წევრი **ლია შაქარიშვილი** გენდერული კვოტების საკითხს შეეხო და დაინტერესდა, 2020 წლის არჩევნებისათვის პოლიტიკურ არენაზე ქალების წილი რამდენად

იქნება გათვალისწინებული, რადგან აუცილებელია პოლიტიკაში ქალების ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდა.

საკრებულოს წევრმა **დავით წულუკიძემ** გამოხატა პირადი პოზიცია, რომ ზოგადად, მაჟორიტარული სისტემის მომხრეა, მაგრამ ამ ეტაპზე მმართველი გუნდის გადაწყვეტილებას, პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მხარს უჭერს.

**ბათუმი,**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს**

**ახალი ადმინისტრაციული შენობა,**

**7 ოქტომბერი, 2019 წელი**

საყოველთაო-სახალხო განხილვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა. განხილვას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მერაბ კარანაძე, ნუგზარ სურმანიძე, ილია ვერძაძე, გია აბულაძე, მერაბ ბლადაძე, გიორგი ცინცქილაძე, გიორგი ბერიძე. კომისიის წევრებმა დამსწრე საზოგადოებას მიმართეს. აღნიშნულის შემდეგ, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს მოქალაქეებმა:

არასამთავრობო ორგანიზაციის „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ თავმჯდომარემ **მერაბ ღოღობერიძემ** დადებითად შეაფასა კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა **ირაკლი ჩავლეიშვილმა** აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის მხრიდან უმოკლეს ვადებში მოხდა ოპოზიციური პარტიების მიერ მოთხოვნილი საკითხების სათანადო დონეზე დაყენება, შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ, მოსახლეობისათვის კონსტიტუციური ცვლილებების გაცნობის მიზნით, ეფექტურად და ნაყოფიერად იმუშავა. მისი აზრით, პროპორციულ სისტემას ალტერნატივა არ აქვს, რამეთუ ეს არის საქართველოში დემოკრატიის მშენებლობისაკენ გადადგმული კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი. მომხსენებლის განცხადებით, ამ ცვლილების შედეგად, რადგან უმაღლეს საბჭოში ბევრი პოლიტიკური პარტია იქნება წარმოდგენილი, აუცილებელია, დაპირისპირების ნაცვლად, ერთმანეთთან თანამშრომლობისა და კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება. მან იმედი გამოთქვა, რომ ის საკითხები, რომლებზეც დღესდღეობით ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ თანხმდება, სამომავლოდ დადებითად გადაწყდება, რადგან ყველაზე მთავარ საკითხზე - ქვეყნის მასშტაბით აჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარების თაობაზე - შეთანხმება მიღწეულია.

პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრმა **გიორგი ფუტკარაძემ** საორგანიზაციო კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ რიგით მოქალაქეებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვაში. მან დადებითად

შეაფასა წარმოდგენილი ინიციატივა და აღნიშნა, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საფუძველზე, უმაღლესი საბჭო უფრო დაბალანსებული და მრავალპარტიული იქნება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების საჯარო განხილვის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა შეხვედრებზე დასმულ ყველა შეკითხვას უპასუხეს, ასევე, დამატებითი განმარტებები გააკეთეს კონსტიტუციური პროექტებით გათვალისწინებულ ცვლილებებზე. კომისიის თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ყველა მოსაზრება, რომელიც შეხვედრების დროს გამოითქვა, განხილული იქნება უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო მოსმენებსა და პლენარულ სხდომებზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტების (№09-01-08/79, 09.09.2019) კანონმდებლობით დადგენილი 3-კვირიანი საყოველთაო-სახალხო განხილვა დასრულდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, კონსტიტუციური კანონის პროექტები მზადაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,

საკონსტიტუციო ცვლილებების
საყოველთაო-სახალხო განხილვის
საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

საკონსტიტუციო ცვლილებების
საყოველთაო-სახალხო განხილვის
საორგანიზაციო კომისიის მდივანი — გიორგი ბურიძე